№ 5 წელიწადი პირველი ფასი 2 კაპ.

სახალხო გაზეთი

რედაქციისაგან

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები უნდა იყვეს გარკვევით დაწერილი და ავტორის მიერ ხელ-მოწერილი მისივე ადრესით.

გაზეთის ფასი:

ცალკე ნომერი ყველგან 2 კაპ.

წლის დამლევამდე 75 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი ტექსტის წინ 20 კაპ., ტექსტის შემდეგ 10 კ., ტექსტის შუა 40 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 2 მან. უმუშევართათვის ამ ფასების ნახევარი.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სტამბა ჰუტენბერგისა, ოლგისა და სლეპცოვის ქუჩების კუთხე.

ხუთშაბათი, 15 ოქტომბერი. 1909 წ. ხუთშაბათი, 15 ოქტომბერი.

ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს, 1909 წ.

მამა დავითის საქალებო სკოლის სასარგებლოთ

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ბ-ნ დ. გლდობლიშვილის სადებიუტოდ კომ. ვ. სარდუსი.

„აიგიდი მეგობრებო“

4 მოქმედებად. თარგ. კ. ბაქრაძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტ. აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ბ. ნებაერიძისა, მ. ქიდარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. კამურელიძე, გ. გედევანოვი, ი. ზარდალიშვილი, დ. მგალობლიშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, შ. სიფაროვი.

ადგილების ფასი: ლოჟები 11 მ. 70 კ. დამ, 5 მ. 80 კ. მდე, პარტერი 2 მ. 70 კ. დან 75 მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ. მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსად. „ორი ობოლი“ ქ ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით.

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

საღამოს გამგე კნ. ელ. ირ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა.

გაიხსნა ტფილისის კერძო ახალი სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ბალარჯიშვილი ვ. დ. შინ. და ბავშ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

ღამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშ. ყ., ღამ; კვ. გარდა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

ზურაკო ზ. ა. შინაგ შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარაშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$ $3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი ზ. ზ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12 | 1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ. ოთხშ. და პარას. 2—$2^1/_2$ ს.

ფირადოვი რ ბ. ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—$2^1/_2$ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოვ. დღ. 9—11 საათ.

სოგოლევსკი ზ. ვ. ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

თიქანაძე ი. ე. დედაკ. საბებიო, ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე ზ. მიკრ. ქირ. ბაქტ. გამოკვლევა. (50—4)

ვოგზლის

კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსაარული ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ს. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გოგაართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$11^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ, ხუთშ., შაბ., 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. ზ. ფეოდოროვი—ყოველ დღო ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავათმყოფობანი.

(50—4)

ექიმმა

პ. არდაზიანმა

განაახლა ავადმყოფების მიღება.

ბავშვების და შინაგან ავადმყოფ. ადრესი: კუთხე მელიქოვის და ალექსანდროვის ქუჩა ინდენტანსტვოს პირდაპირ. 9-ე საპ. უბანში.

იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 საათ, საღამოთი 5—7 ს.

2

რადგან განვიძრახეთ ალექსანდრე ყაზიბეგის დაჯბეჭდავ ლექსების გამოცემა, ამისათვის ვთხოვთ, ვისაც-კი ამ მწერლის ახალგაზდობის სურათი მოეპოვება, მოგვაწოდოს შემდეგის ადრესით: ნაძალადევი მაგისტრალნი ქუჩა, **№ 2, გრიგოლ ჩარკვიანს.** დ ბეჭდვის შემდეგ სურათი ახლად დაბეჭდილის ერთის ცალით, მადლობით დაუბრუნდება პატრონს.

(10—3)

დღევანდელი ვითარება.

საშინელს, გაჭირვებულს, გამოურკვეველს მდგომარეობას განიცდის ჩვენი ქვეყანა.

საზოგადოებრივ ცხოვრების რომელ მხარესაც აიღებთ, ყველგან შავი ალამი ტრიალებს: გამეფებულია მოქანცულება, უნდობლობა...

უკეთესის მერმისის რწმენა თითქო ბურუსშიაო გამოხვეული...

ქვეყნის მანუგეშებლად მიჩნეული ნაწილი საზოგადოებისა, ნასწავლი თაობა, ეგრედწოდებული ინტელიგენცია, გულითაც და სულითაც, გარეგნულად და შინაგანობითაც უკულმართს გზაზეა შემდგარი... თითქო არ იცის ვინ არის, საიდან მოდის, რა მანძილი აქვს გასავლელი, რისთვისაა მოწოდებული...

ჩვენ ვლაპარაკობთ საზოგადო მოვლენაზე, ხოლო შიგა და შიგ თუ ბეუტავენ თითო ოროლანი,—ეს საზოგადო სენს ვერ ჰკურნავს: საზოგადოებრივ არარაობით თითქო მათაც გზაკვალი ვერ გაუგნიათ... მხოლოდ ერთმანერთს ჰქორტნიან, პირადი ანგარიშების გასწორება საზოგადო ასპარეზზე გამოაქვთ. საკუთარი „მე“-ს გასაბატონებლად საქვეყნო საქმეს სწირავენ მსხვერპლად...

მუშა ხალხი?—მას იმდენი დღიური საზრუნავი აქვს, რომ ერთს წამსაც ვერ მოუხერხებია ზოგად საქმეზე ფიქრი... ამის დამამტკიცებელია დღევანდელი გაყინულ-გაციებული მდგომარეობა...

გლეხკაცობა! ეს მრავალ წამებული და გვემული მთავარი ნაწილი ქვეყნისა?—ყველა გვეტყვის სიბნელეშიაო გახვეული და ამითი დაიმშვიდებს, დროებით აღტკინებულს გულს...

ოჰ, რა სიცალიერეა ირგვლივ, არარაობა და ქვეყნის მარილი-კი... დიდი ხანია აღარსადა სჩანს...

სადა ხართ, სად, ხალხის შვილნო, მისი ბეჩავი საშოდან წარმოშობილნო. სად იკარგება თქვენი ძალ-ღონე!?,

იოსებ იმედაშვილი.

სახელმწიფო სათათბირო.

(ვ. დ. ს.)

10 ოქტომბერი. დღის 1 საათსა და 30 წუთზე თავრიდის სასახლეში სახელმწიფო დუმის წევრთა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და სხვათა თანადასწრებით გადახდილ იქნა საღღესასწაულო პარაკლისი. პირველი სხდომა გაიხსნა დღის 2 საათსა და 14 წუთზე. თავმჯდომარეობს ხომიაკოვი.

12 ოქტომბრის სხდომამ განიხილა მოსაზრება დანაწილებულ მიწის ნაკრების ერთ მთლიან ნაკრად შეერთების შესახებ. გამოითქვა სურვილი, რომ ამ საქმის მოწყობა მი-

ენდოს ადგილობრივ მცხოვრებთ და არა სამინისტროს მოხელეებს. ზოგიერთის აზრით ასეთი კანონი საზარალო იქნება წვრილ მესაკუთრესთვის.

საუკრადღეგო დეკეშეგის შინაარსი.

გაზეთებიდან.

—

თავრიზი. ისევ გაიხსნა გასულ წელს რახიმ ხანის რაზმის მიერ განადგურებული რუსეთ-სპარსეთის სასწავლებელი. რუსული ენის სწავლის მსურველი ბევრია. თავრიზ ს ფიდაები ბრალს სდებენ მუხაბირუს—სულთანეს, რომ მან განგებ გაგზავნა არდებილში სათარხანი, რომ მახეში გაბას.

ტაშკენტი. გაიხსნა სოფლის მეურნეთა კრება.

ხიდმი. ერობამ გადასწყვიტა ცხრა წლის განმავლობაში შემოიღოს საყოველთაო სწავლა. გადასდო 3000 მანეთი. გადასწყვიტეს აგრეთვე გახსნან რეალური სასწავლებელი, მოიწვიონ აგრონომი, გააკეთონ საცდელი მინდორი სამი მეტეოროლოგიური სადგური და გამართონ ტელეფონი.

ბაკოდგრადი. საერობო კრებამ გადაწყვიტა შემოიღონ პირველ დაწყებითი სკოლებში ფიზიკური და სამხედრო ვარჯიშობის სწავლება, გახსნან ქსოვის სკოლა და იშუამდგომლონ საოსტატო სემინარიის გახსნაზე.

ახალი ამბები

—

✒ განსვენებული გ. ვოლსკი მიასვენეს ტფილისიდან ბათუმს 10 ოქტომბერს. მის კუბოს ვოგზალზე მიეგებნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელნი და განმანათლებელ დაწესებულებათა დეპუტატები.

✒ ქობულეთიდან „მომავალს“ სწერენ: „ამ დღეებში მოვიდა ერთი პარტია გადმოსახლებულ რუსთა. ესენი უნდა დაასახლონ მდინარე ჭოროხის მახლობლად, სადაც მიუზომავენ სამოსახლო და სახნავ ადგილებსა“.

✒ გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის 300 მანეთით დააჯარიმეს გაზ. „მშაკის“ რედაქტორი. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთი თვით იქნები დაპატიმრებული.

✒ დეპეშათა სააგენტოს ზუგდიდიდან ატყობინებენ: უცნობებმა გაიტაცეს ვაჭარი ფიფია. ფიფიას გამოსახსნელად მისმა ნათესავებმა 500 მანეთი გადაიხადეს. ბოროტგანმზრახველებს საერობო დარაჯების ტანისამოსი ეცვათ.

✒ „ბათუმ. იზვეს.“ სიტყვით, 4 ოქტომბერს ფოთში საკრებულოს სადგომში ბ-ნ გალსკის დასს დაუდგამს ანდრეევის პიესა „დღენი ჩვენის ცხოვრებისა“. მესამე მოქმედებაში სცენის მოყვარე კოპსოკს გრიმი გაჰფუჭებია და სცენიდან გასულა. არტისტ ქალს ქ-ნ გრიცს, როგორც გამოუცდელს, უხერხულად უგრძვნია თავი და სცენიდან გასულან. მოქმედების გათავების შემდეგ გრიცს და კოპროვს ლაპარაკი მოსვლიათ, რომლის დროსაც ერთმანეთი გაულანძღიათ. გრიცს ყველაფერი ეს ხორუნჟი სოკოლსკისთვის შეუჩივლია, სოკოლსკი კოპროვისკენ წასულა, სიტყვაც არ უთქმევინებია და თავსა და მუცელში დაუჭრია. კოპროვი გარდაცვლილა. ხორუნჟი სოკოლსკი დაუპატიმრებიათ.

✒ „კასპი“-ს სიტყვით, კავკავის რკინის გზაზე ხოლერა გაჩენილა. ამას გარდა ხოლერით რამდენიმე კაცი გამხდარა ავად არშავირში. ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა და გარდაცვლილა ინჟენერი პავლე ნერსესის ძე აკოფოვი.

✒ 10 ოქტომბერს თფილისის ტრამვაის დირექტორმა განცხადება გააკრა, რითაც წინადადებას აძლევს ყველა კონდუქტორ-ვატმანებს და მოძრაობაზე ყველა მომუშავეებს, რომ თუ უმთავრეს რწმუნებულებონის-მიერ შემუშავებულ ახალ პირობებში 12 ოქტომბერამდე არ იმუშავებთ, ანგარიშები მიიღეთ და მიბრძანდითო. მოსამსახურეებმა 11 ოქტომბერს განიხილეს დირექტორის განცხადება და დაადგინეს ერთხელ კიდევ მიმართონ თხოვნით ნამესტნიკს, რათა დირექციის მიერ შემუშავებული ახალი პირობები ცოტათ თუ ბევრათ შესცვალონ მათ სასარგებლოთ.

✒ გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ მე-10 №-რი მოზრდილთათვის და მე-19 ნომერი—მცირე წლოვანთათვის.

✒ გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო წიგნები: „დედა ენა“ პირველი ნაწილი (ქართული ანბანი) და „რუსსკოე სლოვო“ მეორე ნაწილი, მე-12 გამოცემა. ორივე ჩვეულებრივ ამებრ საინტერესოთაა შედგენილი და სუფთად გამოცემული.

—

მუშრუმელთა ბირჟა.

გუშინ სალდათის ბაზარში სამუშაოს საშოვნელად

	გამოვიდნენ:		იშოვნეს:
მუშა	257	—	96
დურგალი	11	—	6
კალატოზი	19	—	16
მომკირწყლავი	28	—	13
მეჟესტე	19	—	15
მხატვარი	9	—	4
მებუხრე	5	—	1
იატაკის გამწმენდი	8	—	6

ივრის ხეოგის რამე-რუმე.

(გაგრძელება *)

საუბარი გერმანელთან ქართველების დაუდევრობაზე.

როგორ მოგწონს აქაურობა? შეეკითხე ჩემ თანამგზავრს გერმანელს, როდესაც შემოვიარეთ მთელი გარეკახეთი.

— ბუნების უხვი კალთა აქ დაუბღერტნია, მიპასუხა მან, მაგრამ პატრონი ვერ მიუჩენია შესაფერი.

— როგორ, ვუპასუხე წყენით მე, განა რას აშავებს აქაური მცხოვრები? დღე და ღამეს ასწორებს, წელებზედ ფეხს იდგამს, ბლომათ მოჰყავს პური, ქერი, სიმინდი, ღვინო, სახლები...

სახლების ხსენებაზედ-კი ველარ მოითმინა ჩემმა თანამგზავრმა და მკვახეთ მიპასუხა: შენ სულ ამართლებ შენს ქართველებს, ყოველთვის მოუნახავ რაიმე შესაწყნარებელს მიზეზს, მაგრამ მე-კი მეცოდება სწორეთ ეს ბუნება, რომ თქვენისთანა პატრონის ხელშია. კულტურის ხელი აქ არაფერს არ ატყვია. სახლები!.. რას ეძახით თქვენში სახლს? რაკი ოთხი ქვის კედელი აუყვანია და ზეკიდგან კრამიტი დაუხურნია?! შიგა? მოკლებული ყოველს მოწყობილობას, თვით უსაჭიროეს ავეჯს; მორთულობაზე ლაპარაკს ხომ აქ ადგილი არა აქვს. ზამთარში ცივი, ზაფხულში ცხელი, თვით მდიდრის სახლიც ვერა ვნახე დამთავრებული. თითქოს ეს სახლის საჭიროებას არ შეადგენდეს: ზოგს ჭერი აკლია, ზოგს შუშები, ზოგს სანახევროთ აქვს დახურული კრამიტი და როგორც გარეთ, ისე წვიმს შიგ; თუმცა, ღვთის წინაშე, იქნება თქვენს გლეხს გარეთ უფრო ბევრს უფუჭებდეს ეს წვიმა, ვიდრე სახლში. არსად ნასახი სამზვარეულოსი, ვერც საუზმეზედ ვნახე გლეხის ოჯახი, ვერც სადილზედ, ვერც ვახშამზედ, ვერც შეძლებული და ვერც ღარიბი. როდისა სჭამენ, ან რასა სჭამენ, ვერ მოვახერხე გამეგო. თვით თქვენი სოფელი რას წარმოადგენს? არც გეგმა სახლებისა, არსად ქუჩა- არსად საკუთარი ეზოყურე; ერთიბეწვა ადგილზედ ხუთმეტ მოსახლეს მოუყრია თავი, კარები კარებისთვის მიუბჯენია, პატარა დიდი ნაბიჯი რომ მოუვიდეს ოჯახის პატრონს, სხვისა ეზოში ამოყოფს თავსა, ცხოველზედ და პირუტყვზედ რომ არა ვსთქვათ-რა, შეუდგებათ ერთი ალიაქოური, წივილი, კივილი, ლანძღვა-გინება, გაშაირება, ზედ დაერთვის ცემა-ტყეპა, ყველა ამას მოჰყვება ჩივილი, ტყუილა-უბრალოდ ხარჯი და ზნეობრივი და ფიზიკური ხარჯი. მოურიგებელია ქართველი ხალხი. მოდი და მორიგებული იყავ ამ პირობებში. თვით დინჯ, აუჩქარებელ გერმანელსაც-კი გამოიწვევდა საჩხუბრათ ეს დასახლების პირობები. და რაც უფრო საკვირველია ეს ის, რომ ახალშენ სოფლები, ან უბნებში, ან ისევ ეგ უგეგმობა, არევდარევა.

გზები? რა უგავთ ამათ გზობას? ზაფხულში ერთი მტკაველი მტვერი; საწყალი პირუტყვი და თვით მეურმე, თითქო ფქვილის გოდორში ჩავარდნილანო, ისე არიან ამოგანგლულები; წვიმაში ხომ იმათი ცოდით კაცი დაიწვება: მორგვებამდის ურმის თვალი ტალახში ვარდება, კამეჩები შიგ ეფლობიან, ცარიელ ურემს ძლივს მიათრევენ, არამც თუ საპალნეს. და, ეს ტანჯვა საუკუნოებით, ბოლო მოუღებლად. სულ-კი ერთი კვირის საქმეა სოფლიდგან სოფლამდის, მინდვრამდის, ტყემდის გზების გაკეთება. ქართველს ყველაფერი დაუმთავრებელი აქვს: ვენახი აბეჩხარი, ჩაუყრია შარები, ვერ მორევია, გაუპარტახებია, ღობეები დამტვრეულ-დალეწილი, საქონელი უპატრონობისაგან დახოცილი. ძროხები? ეს ძროხები-კი არა, კატები არიან, კატები! ერთ ჯამს ძლივს გიმსებთ რძით; ნახევარი მინდორი გაუთიბავი გრჩებათ, აბრაშუმივით ბალახს მიწაშივე ალპობთ და თქვენ-კი საქონელი შიმშილით გეხოცებათ. ორი სამი ძროხის პატრონს რძე და მაწონი, ეს ერთად ერთი თქვენი საკმელი, ესეც-კი გენატრებათ. არ ვიცი თქვენ შეჩვეული გაქვთ თვალი, თორემ ევროპიელს პირდაპირ ესობა თვალში მათი ნახევრათ ველური ცხოვრება.

მიზეზი ჩვენის დაქვეითებისა.

ან ვინ შეიტანს თქვენ სოფელში კეთილ ცხოვრებას? თქვენი ნასწავლი ხალხი ისე გაურბის სოფელს როგორც ჭირს.

განათლებული ვერ გვაროობს ჩვენ სოფელში, ვერას აკეთებს: მას აფწროებენ, მის მოქმედებას ყველაფრით ზღუდავენ, ხელებს უკრავენ, პირს უკუმავენ...

— იმიტომ, რომ ისინი მარტო ლაპარაკობენ და საქმე-კი ხელიდგან არ გამოუვათ, თორემ რამდენსაც მეტს შეავიწროებენ, იმდენათ უფრო მედგრათ უნდა ებრძოლონ მტერს თავის კეთილდღეობისთვის.

*) იხ. „სახალხო გაზეთი“ № 4.

გრიგოლ ვოლსკის.

ალარა გვყევხარ, მასწავლებელო,
შენც მოგეწია ესე სიკვდილი,
და ამ უბედურ ჩვენსა მხარესა
მოაკლდა ჭრთი მამულის შვილი.

—

ყვავილი დასჭკნდა სურნელებელი,
ჩაქრა მზის სხივი მაცოცხლებელი,
ყველა ცრემლსა ჭღვრის, ყველა
დაგტირის
მწუხარებითა გამსჭვალებული!

მოწაფე ა. მაჭავარიანი.

ჩემო იღბალო

ჩემო იღბალო! ე'ეც სთქვი:
მცემელს რას ულიმდებიან!
ვინც-კი დასჭყივლებს სუყველა
მუნ როგორ დაჩუმდებიან?..
ერთხელ სადმ, საცდელად მაინც,
რატომ არ ახირდებიან,
არა სწამთ, მტერთან ლაქუცით
რომ მუდამ გავირდებიან?!.

—

ჩემო იღბალო! ესეც სთქვი:
რით სჯობს სიცოცხლე სიკვდილსა,
მით თუ რომ შიში ცოცხალსა
ხურავს როსკიპის მანდილსა?!
ან თუ ელიან რ,გვენნი;
აღუსრულებენ წადილსა,
უმსხვერპლოდ თავის ნებითა?
ვაფურთხებ მაგ გვარს ქადილსა!

—

ჩემო იღბალო, მაკმარე,
ამდენი ლაფის თავზედ სხმა!..

ყვირილი და ლაპარაკი რა საჭიროა საქმისთვის: დადექი და უჩუმრის პირით იმოქმედე და საქმენი შენნი შეიქნებიან მშვენიერი ამღზდელნი შენი თანამემამულეებისა. მაგრამ ეგ მიზეზიც რომ შესაწყნარებელი არ არის. მე კიდით კიდე დამივლია თქვენი ქვეყანა, მიცხოვრია თვეობით სოფლებში და კარგად ვიცნობ მას. ჩემ სამშობლოს შევიწროებასთან სათქმელიც-კი არ არის თქვენი შევიწროება. (იგი ლიფლიანდელი ლატიში იყო). ჩვენ უფრო მეტათ გვადევნებენ თვალს, მეტად ეშინიათ და ეწუხებათ; ჩვენი ბუნება ბევრით მწირი და საცოდავია. ან-კი რა შედარებაა! მაგრამ აბა დაიარეთ ახლა და შეადარეთ ჩვენი მცხოვრებთა კეთილდღეობა თქვენსას. აქ შედარებაც-კი სასაცილოა. და ყველა ეს თვით ხალხმა შეჰქმნა საკუთარის მიხვედრილობით, ცოდნით და მხნეობით. მთელი ლიფლიანდია მოფენილია პატარ-პატარა მშვენივრად მოწყობილის ფერმებით, სადაც შეჰხვდებით საუკეთე'ო საქონლის ჯიშს, საუკეთესო ფრინველს; საზოგადოთ მიწის დამუშავება ხომ უმაღლეს წერტილამდისაა აყვანილი. ისე რაზედაც თქვენ აქ მხოლოდ ლაპარაკში ოცნებობთ, იქ დიდიხანია განხორციელებულია. ჩვენში განათლებული ხალხი, მეტადრე აგრანომები სოფელს-კი არ მიურბიან, არამედ ეტანებიან, რადგან იქ უფრო კარგად, თვის გემოზედ აწყობენ თავიანთ ცხოვრებას.

სად არიან თქვენი აგრონომები? მე ყველას ვიცნობ მათ და არც ისე ცოტა გყვანან, რათ მიურბიან თავიანთ ხელობას? თქვენ აგრანომს ყველგან შეხვდები: კანცელარიის მოხელეთ, რკინის გზაზედ, ბანკებში, თვითმართველობაში, ხოლო სოფელში და მინდორში არც ერთს. განა შეუნდობელი დანაშაული არ არის ესა?!

— ჩვენი სოფელი ისეა მოწყობილი, რომ განათლებულისათვის ძნელია მასში ცხოვრება, ვუპასუხე მე. იგი ობოლ სულად გრძნობს სოფლად განუვითარებელ გლეხთა შორის; მის მოქმედებას ყველაფერი ხელს უშლის: გლეხის უვიცობა, მოუხეშავობა, უპირობა, სიმშურე, წვრილმანობა, თუნდ ქურდობაც.

— ეგ ყველაფერი ხომ ქართველების საერთო სენია, ჩემო ბატონო, გამაწყვეტინა მან, რათ ახვევ მაგას მარტო გლეხებს.

იერემია გულისაშვილი.

(შემდეგი იქნება)

ნუ თუ გულ-გრძნობელს არ
გწვდება
მთლად ჩაბუგვილის კვნესის ხმა?!
ცა შეადრკუნა, მაღალი,
ძმათ შორის მუდამ ამბოხმა,
ცოცხალ კაცს სისხლი დაშრიტეს
და მისი ვარდიც ჩამოხმა!

ალ. ყაზბეგი.

ფრანგულს*)

კარგი ხარ, ჩემო ფრანგულო!
გამპობო მტერთა გულისა!
მომწმენდი ვარმის ყოფილხარ
ნაღვლისგან დადაგულისა!
კაცის სახელის დამცველო.
გამდევნო სხვათა სჯულისა,
შენამც-კი გენაცვალები,
მკვეთელო ავ-ს სულისა!

—

შენ როდი იცი ფლიდობა
და ყმად გახდომა ფულისა,
გადამწყვეტი ხარ ბრძოლაში,
ლაზათი ხელთა რთულისა,
წინვე დამხვედრი მტერისა
აწ ბრძოლად გადმოსულისა,
კიდევ მაბკურე მტრის სისხლი
იაზმა არის სულისა!

—

შენი ჭირიმე, ფრანგულო!
არა ხარ გასალესია!
შენის იმედით მტერს დავკრავ,
თუნდ დამხვდეს ასჯერ ასია!
გაჭივრებაში ქვეყანა
არ არის შენი ფასია,

*) ხმალია.

ერთ-ერთ ... ...

... ...

სტუდენტების მოვალეები

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მოგვცეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით ერთხელ კიდევ მოვაგონოთ ხარკოვის ქართველ თანამემამულეთა წრის მოვალეებს თავიანთი ვალდებულობა.

ყველამ კარგად იცის, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ქონების მხრივ მოსწავლე ახალგაზდობა და მეტადრე სამშობლოდან გარდახვეწილი, ნაცნობ-მახლობლებს დაშორებული ქართველი სტუდენტობა. ეს გარემოება მეტადრე გამწვავებულია ეხლა, როდესაც უნივერსიტეტის მთავრობა დაუყონებლივ ითხოვს ლექციებისა და უნივერსიტეტის სასარგებლოდ ფულის შეტანას. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ შეიძლება ბევრი ჩვენგანი დღეს თუ ხვალ უნივერსიტეტის კარებს გარედ დარჩეს და ბევრს სემესტრთან წელიწადიც დაეკარგოს. ჩვენი მოვალეები-კი ამას ძლიერ გულგრილად უყურებენ, ყურს იყრუებენ, თავიანთსავე ამ გვარ მდგომარეობას სრულიად ივიწყებენ და უცდიან იმ დროს, როცა თავზე საყარად ზედ მეტი დაურჩებათ!

ამით კიდევ გვსურს გავახსენოთ ჩვენ მოვალეებს იმ დროის მდგომარეობა, როცა ისინი თვითონ სესხულობდნენ ფულს წრისაგან. იქნებ წარმოიდგინონ ეხლანდელი ჩვენი ამხანაგების გაჭირვება და მოგვაწოდონ, რამდენიც შესაძლებელი იქნება, თავიანთ ვალიდან შემდეგის ადრესით: г. Харьковъ. Дѣвичья № 10, К. Дзнеладзе.

ამხანაგ. მონდობილობით დ. ქინქლაძე.

P. S. ვსთხოვთ სხვა გაზეთებს, გადაბეჭდონ ეს ამბავი.

დ. ქ.

ქართულ სიმღერა-გალობის შესწავლის მსურველთა ამხანაგობის გუნდი ნაძალადევში.

უკვე წელიწადია, რაც ეგრეთ წოდებული ქართულ სიმღერა-გალობის მსურველთა ამხანაგობის გუნდი შედგა ნაძალადევში, კონსტანტინე ჩარკვიანის დოტაბარობით და უკვე შეძლების და გვარად ნაუფიც გამოიდო. გუნდი მიიწვიეს რამდენიმე საქველმოქმედო კონცერტებზე, სადაც შეძლებისამებრ მიიღო მონაწილეობა. აგრეთვე მიიწვიეს მიცვალებულებზე რამდენსამე ადგს (უსასყიდლოთ). გუნდში უმრავლესობა უსაქმურები იყვნენ და შემდეგში ზოგს ამისთანა საქმეები გამოუჩნდათ, რომ შეძლება ადარ ჰქონდათ მიეღოთ მონაწილეობა შემდეგშიც; ზოგიც სხვა ქალაქში წავიდა, რითაც გუნდი ძალზე შესუსტდა. ეხლა ამხანაგობას ხელმეორეთ სურს გაამრავლოს მომდერალთა რიცხვი, რისთვისაც ბ. კ. ჩარკვიანი გვპირდება არ მოგვაკლოს თავისი შრომა და ჯაფა და უსასყიდლოთ ასწავლოს გუნდს, რაკარც საერო, ისე საეკლესიო, რაზედაც დიდს მადლობას უძღვნის მას ამხანაგობა. ამასთანავე მივმართავთ პატივცემულთ კალობა-სიმღერის შესწავლის მსურველთ ვისაც-კი სურს მიიღოს მონაწილეობა გუნდში. მსურველს შეუძლიან გაიგოს პირობები მელიტონ ღოღობერიძესთან. ადრესი: ნაძალადევი, მაგისტრალნი ქუჩა, № 2, სახლი ჩარკვიანისა.

მელიტონ ღოღობერიძე.

სოფ. წინარეხის სკოლის მასწავლებელი ბატ. ვ. გიუნაშვილი გვთხოვს დაგვბეჭდოთ:

ჩემდამო რწუმენებული წინარეხის სკოლა ეკუთნის „წ.-კ. საზოგადოებას“. როდესაც აქ სკოლა დაუარსებიათ, უფიქრნიათ: ეს პატარა სოფელი (120 კომლამდეა) სკოლას ვერ გაუძღვებაო, და მახლობლად დასახელებული მთიელებიც ხარჯში ჩაუწერიათ. ამ რიგად, 1882 წლიდან დაწყებული, იმ 250 მან.; რომელიც სოფლის საზოგადოებაზეა შეწერილი, საკუთრივ წინარეხი იხდის ყოველ წლივ მხოლოდ 72.; დანარჩენს 178 მან.-კი ზედ მიწერილი სოფლები იხდიან, რომლებიც სრულიად ვერა სარგებლობენ სკოლით, რადგან დაშორებულნი არიან 5-12 ვერსით. სკოლის დამაარსებლებს ამ შემთხვევაში მიუბაძნიათ დირექციისათვის; მაგრამ ის, რაც ეპატიებათ სხვებს, არ მიეტევებათ ჩვენებს უმჯობესია, ცოტა სკოლები გვქონდეს და რაც გვქონდეს სიმართლეზე აგებულ-დამყარებული.

აღნიშნული მთიელები გულდა-მაყრიდან არიან გადმოსახლებულნი. მეტათ ნიჭიერი ხალხია. მათში „საყველ-პურო“ წერა-კითხვა ძალიანაა გავრცელებული. მეც, რაც შესაძლებელია, ხელს ვუწყობ, მაგრამ უფრო ერთმანეთისაგან სწავლობენ. ამ უკანასკნელს დროს ძალიან ხშირად მოდიან და სხვა-დასხვა სასწავლო ნივთებსა და საკითხავს წიგნებსა მთხოვენ. ვერც ერთს გაკვეთილს ვერ ჩავატარებ ისე, რომ ორმა-სამმა არ გამომიძახოს. რაც-კი რამ მებადა, ჩემი საკუთარი წიგნებიც-კი სულ დავარიგე, ვაძლევ ხოლმე ბავშვების ნახმარს წიგნებსაც, მაგრამ მათს მოთხოვნილებას ვერ ვაყმაყოფილებ. ბევრი ისეთი წიგნიც მივეცი რომელიც მათთვის სრულიად გამოუსადეგარია. მაგრამ რას იზამ? კაი ბიჭი ხარ და ნუ მისცემ! არ მოგეშვებიან. თუ უარი უთხარი, უსიამოვნებასაც მოგაყენებენ. ისეთს სიმართლით სავსე საყვედურს გეტყვიან, გულის ძაფებს ჩაგიწყვეტენ. არც გასამტყუნი არიან: ჯერ ეს ერთი, რომ ჩვენ მოწინავე ელემენტსაც არა აქვს იმდენი შეგნება, რომ რაიმე კულტურულ საქველმოქმედო დაწესებულებისთვის თავისი წვლილი იხადოს და სად მოვსთხოვოთ ეს მსხვერპლი ტყეში მცხოვრებთ! მეორეც—ათასნაირის გადასახადებისაგან წელში არიან მოხრილნი, უცხოებს ვერას აკლებენ და შინაურებს ეტანებიან. ერთხელვე აქვთ ჩაგონებული: მასწავლებელს მუქთად მოსდის წიგნები და ვინც ბავშვს სკოლაში ვერა ჰგზავნის რაც წიგნები უნდა მოითხოვოს, მასწავლებელმა უნდა მისცესო.

რადგან „წ.-კ.ს. გამგეობა“, უსახ. სრობისა გამო, იმდენს წიგნებს ვერ მიგზავნის, რომ მათი მოთხოვნილება დავაკმაყოფილო, მივმართავ ხალხის გულშემატკივართ. მომაწოდონ სასწავლო ნივთები და საკითხავი წიგნები, რათა საშუალება მომეცეს, დროებით მაინც, როგორმე დავაკმაყოფილო მათი მოთხოვილება. შემდეგში-კი „თუ წ.-კ. ს. გამგეობა“-მ როგორმე საქმე არ მოაგვარა, აქ მასწავლებლობა ყოვლად შეუძლებელია, რადგან უსიამოვნებას შეიძლება სამწუხარო შედეგიც მოჰყეს. წიგნები შეიძლება გადაეცეს „წ.-კ. ს. კანცელარიაში“ ვასილ ედილაშვილს.

თუ რომელიმე გაზეთი ისურვებს და ამ წერილს გადაჰბეჭდავს, კარგს ინებებს.

მასწავ. ვ. გიუნაშვილი.

რედაქტორ გამომცემელი
დარია ხრამელაშვილისა.

გაქცხადებანი

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს მოწაფეთ საშუალო სასწავლებლისათვის.

იზმაილოვის ქუჩა № 14.

სტამბა „გუტენბერგი“

ასრულებს სასტამბო საქმეებს

სუფთად, დროზე და იაფად ყველა ენაზე. ოლგისა და სლეპკოვის კუთხე № 1.

პირველი ძარხანა
კაუკჩუპის
შტემპელებისა.

ე. გ. პოგრებეცკი

ტფილისში, ლონდონის სასტუმროს ქვეშ. ბეჭედი და შტემპელი, კლიშე, სტამბის საქმეები.

(4—2)

განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში

პირველი კავკასიის სტენოგრაფიული კურსები

თ. აკოფიანისა.

ტფილისი, მიხეილის პროსპ., № 53.

შესდგება მე-3-მე ჯგუფი მსმენელთა ორთავე სქესისა.

სტენოგრაფია ხელოვნებაა ისეთივ ჩქარის წერისა, როგორც დაბარკა. იგი საჭიროა ყოველ განათლებულ ადამიანისათვის. სწავლის დასაწყისი 15 ოქტომბერს ამა წლისა მიიღებიან საღამოს 4—7½ საათ. პროგრამა, პირობები და სტენოგრაფიის მნიშვნელობა ეძლევათ კურსების საგზაში კურს დამთავრებულნი თითო წამს 120 სიტყვას სწერენ და ეძლევათ მათ სათანადო დიპლომი (10—4)

ალმეზა.

ალმეზა სულ, ერთ წუთში სპობს კბილის ტკივილს, აგრეთვე კარგავს პირის სიმყრალეს, და აჩერებს სისხლის დენასა. ამაგრებს კბილებს, ზრდის ნონებსა.

აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში და მოგზაურობის დროს. ფასი ნორმალური ფლაკონისა 1 მ. 20 კ. საცთელი. ფლაკ. 40 კ.

თმის საშვალება პრიმა.

პრიმა აჩერებს თმის ცვენასა, სპობს უცბათ თავის ქერტლსა. აგრეთვე თმა იღებება შემდეგ რამოდენიმე ხმარებისა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.

საყურადღებოთ ციებ-ცხელებით აკათმყოფებისათვის.

ჩვენი ციების წამალი სპობს სულ მოკლე დროში ძველს და ახალს ციებ-ცხელებასა ფასი 1 მ. 50 კ.

დარიგება ყველას თან ახლავსთ. ვგზავნით ფას დადებით. საჭიროა ბე ერთი მესამედი.

კანტორა და სკლადი თფილისი ქუჩა ნეკრასოვისა № 14 ვორონცოვის. ტ. ძეგლის მახლობლათ.

წარმომადგენელი მთელი კავკასიისა ი. ახობაძე.

Кантора и складъ „Т“. Тифлисъ Некрасовская улица № 14 И. Ахобадзе.